**შპს** სატურნი
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „სატურნი“

**ფინანსური ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

**შპს** სატურნი
(თანხები მოცემულია ლარში)

# სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება................................................................3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..................................................................................................4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ......................................................................................5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ...................................................................................6

**შპს სატურნი**
(თანხები მოცემულია ლარში)
**მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**
***2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის***

## მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | | 12/31/2022 | 12/31/2021 | 12/31/2020 |
|---|---|---|---|---|
| ამონაგები | 3 | 3,571,839 | 55,644 | - |
| თვითღირებულება | | (2,821,283) | (46,251) | - |
| **საერთო მოგება** | | **750,556** | **9,392** | **-** |
| სხვა შემოსავლები | | 16,991 | 215,408 | - |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი | 4 | (3,942,597) | (1,290,178) | - |
| მიწოდების დანახარჯები | | (2,331,474) | (112,738) | - |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა | 5 | 103,921 | 1,654 | - |
| სხვა ხარჯები | 6 | (9830) | (196,883) | - |
| **საოპერაციო მოგება** | | **(5,412,431)** | **(1,373,346)** | **-** |
| ფინანსური შემოსავალი | | - | - | - |
| ფინანსური ხარჯი | | (275,740) | (44,062) | - |
| **ფინანსური ხარჯი - წმინდა** | | **(275,740)** | **(44,062)** | **-** |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **(5,688,172)** | **(1,417,407)** | **-** |
| გაცემული დივიდენდი | | - | - | - |
| მოგების გადასახადი | | - | (30) | - |
| **წმინდა მოგება** | | **(5,688,172)** | **(1,417,437)** | **-** |
| სხვა სრული შემოსავალი: | | | | |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით | | - | - | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | **(5,688,172)** | **(1,417,437)** | **-** |

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი : არჩილ ფირიაშვილი

6 - 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სატურნი

(თანხები მოცემულია ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება *2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით***

| | | 12/31/2022 | 12/31/2021 | 12/31/2020 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 1,212,146 | 791,288 | - |
| არამატერიალური აქტივი | | 877,946 | 260,571 | - |
| აქტივის გამოყენების უფლება | | 15,959 | 196,924 | - |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | | - | - | - |
| | | **2,106,050** | **1,248,783** | - |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 8 | 292,686 | 136,059 | - |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 9 | 198,423 | 90,664 | - |
| მარაგები | 10 | 3,586,362 | 890,538 | - |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები | | - | - | - |
| | | **4,077,470** | **1,117,261** | - |
| **მთლიანი აქტივები** | | **6,183,520** | **2,366,044** | - |
| **მთლიანი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 6,772,562 | 615,000 | - |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | (7,105,609) | (1,417,437) | - |
| გადაფასების რეზერვი | | - | - | - |
| | | **(333,047)** | **(802,437)** | - |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სესხები | | 17,108 | 1,437,187 | - |
| ანარიცხები | | - | - | - |
| გადავადებული შემოსავალი | | - | - | - |
| | | **17,108** | **1,437,187** | - |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| მოკლევადიანი სესხები | | 3,650,000 | 1,028,403 | - |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 11 | 2,849,459 | 694,544 | - |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | - | - |
| გადასახდელი პროცენტი | | - | 8,347 | - |
| გადასახდელი დივიდენდი | | - | - | - |
| | | **6,499,459** | **1,731,295** | - |
| **მთლიანი ვალდებულებები** | | **6,516,567** | **3,168,482** | - |
| **მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები** | | **6,183,520** | **2,366,044** | - |

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ

დირექტორი არჩილ ფირიაშვილი

6 - 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**
**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|---|---|---|---|
| **2022 წლის 01 იანვარი** | | **(1,417,437)** | **(1,417,437)** |
| წმინდა მოგება | | (5,688,172) | **(5,688,172)** |
| სხვა სრული შემოსავალი | | | |
| პერიოდის სრული შემოსავალი | | (5,688,172) | **(5,688,172)** |
| გაცემული დივიდენდი | | | |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | 6,772,562 | | **6,772,562** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **6,772,562** | **(7,105,609)** | **(333,047)** |

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი არჩილ ფირიაშვილი

6 - 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სატურნი
(თანხები მოცემულია ლარში)

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შესავალი

### 1. *კომპანია და მისი საქმიანობა*

შპს ,,სატურნი'' (ს/კ 405430494) (შემდგომში „კომპანია") დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2020 წლის 31 დეკემბერს. იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ., №43, ბინა №4ა.

კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს მერკური (ს/კ 405372779) .

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ონლაინ ვაჭრობა. კომპანიის ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში.

### 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

**მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2021 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით" და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებას 2022 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი

**შპს** სატურნი
(თანხები მოცემულია ლარში)
სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

### *ფული და ფულის ექვივალენტები*

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

### *ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცველბასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

#### *ცვეთა*

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

| | სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი) |
|---|---|
| ოფისის აღჭურვილობა | 5 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 |
| მანქანა-დანადგარები | 10 |

### კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

*შენიშვნა 3*

**ამონაგები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| საქონლის გაყიდვა | 3,571,839 | 55,644 | - |
| მომსახურების გაწევა | | - | - |
| **სულ** | **3,571,839** | **55,644** | **-** |

*შენიშვნა 4*

**ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | (2,878,984) | (994,392) | - |
| მივლინების ხარჯები | (67,142) | (4,821) | - |
| სხვა საერთო ხარჯი | (299,660) | (123,331) | - |
| იჯარის ხარჯი | (111,433) | (56,691) | - |
| კომუნალური ხარჯები | (40,304) | (9,455) | - |
| ბანკის საკომისიო | (116,608) | (13,105) | - |
| საწყობის სოფტი | (37,870) | (14,320) | - |
| იურიდიული მომსახურება | (44,000) | (16,500) | - |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი | (23,546) | (15,356) | - |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (323,050) | (42,207) | - |
| **სულ** | **(3,942,597)** | **(1,290,178)** | **-** |

**მიწოდების ხარჯები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| რეკლამის ხარჯი | (602,352) | (87,453) | - |
| მარკეტინგის ხარჯი | (1,670,242) | (25,286) | - |
| დისტრიბუტორების შრომის ანაზღაურება | - | | |
| ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები | (58,880) | - | - |
| სულ | (2,331,474) | (112,738) | - |

*შენიშვნა 5*

**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო:**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| საკურსო სხვაობით მიღებული მოება/(ზარალი) | 103,921 | 1,654 | - |
| სულ | **103,921** | **1,654** | **-** |

შპს სატურნი
(თანხები მოცემულია ლარში)

*შენიშვნა 6*
**სხვა ხარჯები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| ჯარიმები და საურავები | (4,607) | (108) | - |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები (მოგებით დასაბეგრი) | (274) | (169) | - |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა | (4,949) | (196,607) | - |
| **სულ** | **(9,830)** | **(196,883)** | - |

*სასაქონლო მატერიალური ფასეულობები*

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარიალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის.

*პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები*

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

**შენიშვნა 7**

**შპს სატურნი**
(თანხები მოცემულია ლარში)

**ძირითადი საშუალებები**

| | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა) | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სხვა გრძელვადიანი აქტივები | სხვა არამატერიალური აქტივები | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **021 წლის 31 დეკემბერი** | **623,809** | **4,432** | **126,382** | **36,665** | **196,924** | **260,571** | **1,248,783** |
| ემოსვლა | 77,037 | 316,113 | 128,495 | 49,411 | - | 758,510 | 1,329,566 |
| ასვლა | | | (4,949) | - | (172,715) | - | (177,664) |
| **022 წლის 31 დეკემბერი** | **700,846** | **320,544** | **249,928** | **86,076** | **24,209** | **1,019,081** | **2,400,685** |
| **ცვეთა და გაუფასურება** | | | | | | | |
| **021 წლის 31 დეკემბერი** | - | - | - | - | - | - | - |
| ერიოდის ცვეთა<br>აუფასურება | (66,470) | (6,141) | (59,690) | (12,947) | (8,251) | (141,136) | (294,636) |
| ასვლა | - | - | - | - | - | - | - |
| **022 წლის 31 დეკემბერი** | **(66,470)** | **(6,141)** | **(59,690)** | **(12,947)** | **(8,251)** | **(141,136)** | **(294,636)** |
| | | | | | | | |
| ***მინდა საბალანსო ღირებულება*** | | | | | | | |
| **021 წლის 31 დეკემბერი** | **623,809** | **4,432** | 126,382 | **36,665** | **196,924** | 260,571 | **1,248,783** |
| **022 წლის 31 დეკემბერი** | **634,376** | **314,403** | **190,237** | **73,129** | **15,959** | **877,946** | **2,106,050** |

***შენიშვნა 8***

**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | | - | - |
| ეროვნული ვალუტა ბანკში | 241,188 | 69,776 | - |
| უცხოური ვალუტა ბანკში | 51,498 | 66,282 | - |
| **სულ** | **292,686** | **136,059** | **-** |

***შენიშვნა 9***

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო | 9,159 | 41,925 | - |
| გადახდილი ავანსები | 135,089 | 13,422 | - |
| საგადასახადო აქტივი | 54,174 | 35,160 | - |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | - | 158 | - |
| **სულ** | **198,423** | **90,664** | **-** |

***შენიშვნა 10***

**მარაგები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| საქონელი | 3,586,362 | 890,538 | - |
| **სულ** | **3,586,362** | **890,538** | **-** |

*შენიშვნა 11*

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | (2,855,022) | (694,386) | - |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 5,562 | (158) | - |
| ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი | - | - | - |
| **სულ** | **(2,849,459)** | **(694,544)** | **-** |

*დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები*

საწარმოს აკონტროლებს შპს მერკური, რომელიც ფლობს წილის 100%

*დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:*

**საქონლის მიწოდება:**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| მომსახურების მიწოდება | 1,271 | | |
| საქონლის მიწოდება | 4,750 | | |
| **სულ** | **6,021** | **-** | **-** |

მეკავშირე საწარმოსა და ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსთვის მომსახურებისა და საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

**საქონლისა და მომსახურების შეძენა:**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| *მომსახურების შეძენა* | 27,966 | | |
| *საქონლის შეძენა* | 424 | - | - |
| **სულ** | **28,390** | **-** | **-** |

მეკავშირე საწარმოსგან და ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსგან მომსახურებისა და საქონლის შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.

**შპს სატურნი**
(თანხები მოცემულია ლარში)

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| *ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი* | | | |
| *მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისადმი* | | | |
| **სულ** | - | - | - |

დაკავშირებულ მხარეების შორის ვალდებულება წარმოშობილია მომსახურების გაწევის და საქონლის მიწოდების შედეგად. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

**დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება**

| | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 1,339,943 | 763,692 | - |
| **სულ** | **1,339,943** | **763,692** | **-** |

**კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.**

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მოკლე დროში მიიღო გლობალური პანდემიის სახე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა რამაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც სტაბილურობის ისე კრიზისის თვალსაზრისით.პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიმართა შეზღუდვებს და დააწესა რეგულაციები, კომპანიამ გაითვალისწინა ყველა მითითება და რეგულაცია, რის ფარგლებშიც გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანია გეგმავს შექმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა , გაციფრულებაზე კი ყველაზე დიდ აქცენტები გაკეთდება. კომპანია გეგმავს მინიმუმადე დაიყვანოს თანამშრომლების და სხვა პირების ფიზიკური კონტაქტი, რასაც გაციფრულების საფუძველზე შეძლებს.

ზემოთ აღწერილის შემაჯამებლად უნდა ითქვას რომ კორონა ვირუსს 2022 წლის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდზე ბალანსშემდგომი მოვლენები არ განხორციელებულა.

**ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის მფლობელის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს.